

მწყველი

სამოცველი
სამოცველი



ზე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი
დაჭსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

გაოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვნოთ ოქვენ. მათ. 11—28.

№ 14


1883—1901

15—30 ივლისი.

რომელ ქადაღზე რა ფასიანი მარკები
ითხოვება?

თ კითხვა, რომელიც ხშირად გესმისთ ჩვენ
სამღვდელოებაში კაცა. გამოიცემა თუ არა ახალი
კანონმდებლობა გერბის მარკების ხმარების შესა-
ხებ, შეიქნება ერთი კითხვა: თუ რომელი მარკა
უნდა იხმარო თხოვნებზე და მოწმობებზე და ამ
კითხვის განმარტება თითქმის ხუთი წელიწადი
გაგრძელდება. რატომ არის სე ძნელი გასაგები
ამ გერბის მარკების ხმარება? მართალია, ახალი
კანონმდებლობა გერბის მარკების ხმარების შესა-
ხებ, თითქმის, ყოველ უზრნალ-გაზეთებში იბეჭ-
დება, ამასთან, თითქმის წიგნებიც კი გამოიცემიან

და დარიგდებიან ხალხში, მაგრამ მაინც ხშირად
გეკითხებიან, თუ ამა და ამ ქაღალდზე რა ფასიანი
მარკა ითხოვებაო? ჩვენის აზრით, ეს ხდება
ხოლმე იმიტომ, რომ უბრალო ხალხის გასაგებად
არ არიან დაბეჭდილნი წესდებანი გერბის მარკების
ხმარების შესახებ. წარმოიღვინეთ, რომ ზოგიერთი
მუხლები გერბის მარკების ხმარების შესახებ, არა
თუ უბრალო ხალხისათვის, არამედ ნაწავლ პირ-
თავისაც საძნელო გასაგები რჩება და ტყუილ
უბრალოთ ახდევინებენ მარკების ფულს მთხოვნე-
ლებს. პირველად გამოცემული ძველი წესდება
გერბის მარკებზე ერთი ორად პატარა განმარტებით
გამოცემაზე. ეს ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ
ბევრს ძლიერ უძნელდება აღნიშნულ წესდების
ყველა მუხლების გაგება. აიღეთ მაგალითად ეხ-
ლანდელი დრო: ზოგიერთები მეტრიკულ გამო-



წერილობისთვის ისეც თხხა-აბაზიან მარკას თხოულობენ, მაშინ, როდესაც სამ აბაზიანი მარკებია საჭირო. ზოგიერთებს სისხლის სამართლის წესით საჩივარი შეაქვთ ამა თუ იმ პირზე და ორ მარკას აკრავნ, როცა მარკები ამისთანა საივრებზე სრულებით არ არის საჭირო. არიან ისეთებიც, რომელნც ორ-სამ მარკას აკრავნ რომელიმ ქალალზე, როცა ერთის მეტი საჭირო არ არის. ერთი სიტყვით, გაუგებრობით, უცოდინარობით და ზოგიერთ მოსამსახურე პირთა დაუდევნელობით, ერთი წლის განმამავლობაში დიდი ფული იხარჯება ტყუილ უბრალოდ მარკებისათვის. ამიტომ მეტი არ იქმნეს, ვგონებთ, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მარკების ხმარების შესახებ, იმას გარდა, რაც იბეჭდება დღეს უურნალ-გაზეთებში. მრავალნი პირნი გვეკითხებიან ჩვენ მარკების ხმარების შესახებ და ამისათვის უფროვოთ ერ მიგვაჩნია ამაზე ორიოდე სიტყვის თქმა.

გერბის მარკები არიან სხვა-და-სხვა ფასების: მანეთიანი, 60 კაპ., 40 კ., 15 კ., 10 კ., და შაურიანი. თუ რომელ შემთხვევაში როგორი ფასის მარკები იხმარება, ამაზე ჩვენ ცნობა გვქონდა მოყვანილი ჩვენს გაზეთში და დავასრულებთ კიდევ თვითი ალურ განყოფილებაში, ამისათვის აქ იღარ გავამეორებთ იმას, რაც დაბეჭდილია და რაც დაიბეჭდება.

ამ სტატიაში ჩვენ გვსურს მკითხველების ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ 1) იმ ქალალდებზე და საბუთებზე, რომელნც სრულებით თავისუფალნი არიან მარკების ხარჯისაგან, 2) იმ საქმეების საეკულესიო მართველობასა და საზოგადოდ, სასულიერო უწყებაში, რომელნც თავისუფალნი არიან აგრეთვე გერბის მარკების ხარჯისაგან, 3) იმ საქმეებს და საბუთებს, რომელნც თავისუფალნი არიან გერბის მარკის ხმარებისაგან უწმიდესი სინოდის განჩინებით და 4) საჭიროდ ვრაცხო თრიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზედაც, თუ რა პასუხის გებაში ვარდებიან ისინი, რომელნც დაარღვევენ გერბის გარდასხადის წესდებულების მუხლებს.

1) ქაღალდები და საბუთები, რომელნიც თავისუფალნი არიან გერბის მარკების ხარჯისაგან.

ა) საჩივარები და თხოვნები ხელმწიფის სახლზედ მირთმეულნი და ნება-დართული ამა თხოვნათა და საჩივართა ქალალდები.

ბ) მიწერ-მოწერა კერძო პირთა და დაწესებულებათა სავალდებულო საფუძველსა ზედა საზოგადო კანონდებულებათა და განსაკუთრებულ წესდებულებათა, გამართულნი მართებლობის დაწესებულების და თანამდებობის პირთან, რომელნიც მოითხოვებიან აღნიშნულ დადგენილობათა და თანამდებობის პირთა მართებლობის მიზნის აღსარებულებლად, ცნობანი, და აგრეთვე ქაღალდები, რომელთათანა ეს ცნობები წარდგინდებიან კერძო პირთა და დაწესებულებათაგან; პირები განჩინებათა, გარდაწყვეტილებათა და სხვა საბუთებთაგან მართებლობის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთაგან კერძო პირთა და დაწესებულებათადმი სავალდებულონი.

გ) თხოვნები და სხვა ქაღალდები, და აგრეთვე გარდაწყვეტილებანი სამხედრო ბეგრის შესახებ.

შენაშენა. ყოველი მეტრიკული გამოწერილობა და თხოვნები ამ მეტრიკულ გამოწერილობათა და მოწმობათა მიცემის შესახებ, წარმოსაღენად სამხედრო ბეგრის საკრებულოში თავისუფალნი არიან მარკების გარდასახადისაგან, მაგრამ ამისთანა შემთხვევაში მეტრიკის გამოწერის მიმცემი მღვდელი უნდა სწერდეს მოწმობაში, რომ ის მოწმობა ეძლევა მთხოვნელს სამხედრო ბეგრის საკრებულოში წარსაღენად.

2) ქაღალდები და საქმეები, წარმოებულნი საეკედული და საზოგადოდ სისულეერთ უწყებაში, რომელნიც თავისუფალნი არიან მარკების ხმარებისაგან.

ა) თხოვნები და სხვა ქაღალდები ნებადართულნი მართლ-მაღიდებელ ქრისტიანობის მიღბაზედ.

ბ) თხოვნები ეკკლესიების და სამლოცველო სახლების აღშენებისათვის.

გ) მართლ-მაღიდებელ მონასტრების, სავანების და მისიერების დაარსებაზე.

დ) ქაღალდები მოპოებისათვის ყოველ საჭირო საეკულესიო ნივთთა შესახებ.

ე) თხოვნები ახალი სამრევლოების გახსნის და აღღენის და ახალი კრებულის დაარსების შესახებ მიწერ-მოწერანი.

ვ) თხოვნები და მიწერ-მოწერანი მღვდლობის აღგილის მიღებისა და აღნიშნულისათვის, მორჩილად მონასტრებში და აღკვეცისათვის და აგრეთვე

თვე კეთილ ყოფაქცევაზე მიცემული მოწმობანი მრევლთაგან და საზოგადოებისაგან სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთადმი.

გ) ქალალდები და მიწერ-მოწერანი ოდგილთა სანადელოდ მიცემისათვის და სასარგებლოდ ორჟერის სასახლის, მონასტრების და ეკკლესიებისადმი.

დ) საქმეები და მიწერ-მოწერანი გადატანისათვის წმიდა ნაწილთა წმიდათა ხატთა; პარაკლისების აღსრულების შესახებ და სხვათა საქმეთა, რომელნიცა ქრისტიანეთა სარწმუნოებრივი გრძნობისაგან არიან აღძრულნი.

ე). მიწერ-მოწერანი მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ინტერესების დაცვისათვის სხვა სარწმუნოებისა და მწვალებელთაგან.

ვ) თხოვნები და მიწერ-მოწერანი მიღებისათვის შეტრიკულ მოწმობათა შობასა და მონათვლაზედ ყრმათა, რომელნიც წარიდგინებიან აღსამზრდელ სახლებში და სააპეკუნო ჩევევებში იმპერატრიცის მარიამისა.

ი) თხოვნები მეტრიკულ მოწმობათა მიცემისათვის შობასა და მონათვლაზედ ყრმათა მდაბალ მოსამსახურე პირთა, საზღვაო სამხედროის სამსახურისა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისა და სხვათა ოდგილთა და აგრეთვე თვით მოწმობანი, სენტრულ პირთა.

კ) ქადაღდები და საბუთები, რომებიც განთავისუფლებული არიან საგერბო გადასხვდისაგან უწმიდესი სინდის დადგენილებით.

ა) მშობლების წერილობითი ნებართვა შვილთადმი საქორწინოდ. (დადგ. უწ. სინ. 24—30 სექ. 1887 წ. № 1413).

ბ) მოწმობები აღსაჩების თქმაზე, რომლებიც მიეცემიან მღვდელთაგან აღსარების ავლის შემდეგი მი პირთა, რომლებიც სხვა ეკკლესიაში უნდა ეზიარონ.

გ) დამოწმებანი, რომლებიც სრულდებიან სასულიერო კონსისტორიათაგან მეტრიკულ ამოწერილობებზე, ოდგილობრივი კრებულისაგან მიცემულზედ და რომელზედაც უკვე გარდახდილია საგერბო ხარჯი (დადგ. უმართ. სენატისა 8 არ. 1883 წ. დაკანონებათა კრებულში 1884 წ. № 92).

დ) მეტრიკული მოწმობები და მათი კოპიები, რომლებიც მოითხოვებიან სასულიერო კონსისტორიიდან, რომელიმე სათანადო დაწესებულებისაგან ან თანამდებობის პირისაგან, საქალაქი დაწესებულებისაგან, საერობო ან წოდებრივისაგან კერძო პირზედ მისაცემად კი არა, არამედ საქმის საწარმოებლად ერთ ერთ დასახელებულ დაწესებულებაში, მაგრამ ამ საბუთებზედ უნდა იყოს წაწერილი, რომ იგინი იგზავნებიან ამა და ამ დაწესებულებაში ან თანამდებობის პირთან, ამ და ამ საქმისათვის. (დადგ. უწ. სინოდისა 12—26 1 ივნისი 1878 წ. № 1883).

ე) წარწერანი პასპორტებზედ და მოწმობებზედ ჯვარის წერის ან გარდაცვალების და დამარხვის შესახებ მსში აღნიშნული პირებისა. (დადგ. უწ. სინ. 23—30 სექტ. 1877 წ. № 1413).

ვ) თხოვნები მოწმობების მიცემის შესახებ, პატარა ბავშვებთათვის, მათ წლოვანობაზედ, ქარხნებში სამუშაოდ და ღარადგომად, აგრეთვე თვითონ მოწმობებიც ან ამოწერილობები, ამასთანავე მიცემულ ამოწერილობაზედ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ამოწერილობა არის მიცემული საქარხნო ინსპექციაში წარსადგენად.

ზ). მოწმობები: 1) საზოგადოდ, აღსარების ავლის შესახებ და კერძოთ. რომლებიც მიეცემიან მოწაფეებს, სასწავლებლის მთავრობასთან წარსადგენად და საქორწინოდ განმზადებულთ, 2) რომლებიც ეძლევიან საეკკლესიო კრებულისაგან სასოფლო დაწესებულებათ სახაზინო პალატაში წარსადგენად შესახებ ეკკლესიების, ოჯახების წევრთა სიკვდილისა, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან საკომისა გარდასახადისაგან, უმაღლესად დამტკიცებულ 30 დეკემბერს 1875 წ. სახელმწიფო საბჭოს აზრით, ამასთანავე ამ მოწმობებზედ უნდა აღნიშნული იყოს, რომ ისინი ეძლევიან სასოფლო დაწესებულებაში წარსადგენად სასოფლო გადასახადისაგან გამოსარიცხად.

ც) ცნობები, ეკკლესიის კრებულთაგან მიცემული ურთი ერთ შორის იმის შესახებ, თუ რა საქორწინოებას აღვიარებს მსურველი დაქორწინებისა და იმის შესახებ, თუ ეკკლესიის კრებულთაგან არაფერი წინააღმდეგი არ არის ქორწინებისა, მათი მრევლთაგანის სხვა სამრევლოს ეკკლესიაში.

თ) მოწმობები, რომლებიც იძლევიან ადგილობრივი სამრევლის მღვდლისაგან წლისა და პიროვნების აღნიშვნითურთ სამრევლო სკოლის მოწაფეთა და რომლებიც წარდგინდებიან თხოვნებთან ერთად გამოსაცდელ კომისიებში სამხედრო ბეგას რაში საღავათის მისაცემად, ამასთანავე ამ მოწმობებზედ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ისინი იძლევიან მოწმობების მისაღებად, სამხედრო ბეგარის საღავათისა.

(შემდეგი იქნება)

«მუსიკის კორსოს დაწესებისათვის»

ს. კულაში. პირველ რვისს, პარასკევს, მეტად სასიამოვნო დღე გათხნდა კულაშის ჯვარუმის ეკკლესისა და მისს მრევლისათვის. დილით ამომავალმა შეემ ბრწყინვალედ ამოიყოლა ის სხივიც, რომელიც ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებიდგან შავს სამგლოვიარო ძაბუში იყო გახდა და აღარ ანთებდა იმერეთს. ხსნებულს ვეული და აღარ ანთებდა იმერეთს. ხსნებულს დღეს გარდიყარა ამ სხივმა კულაშის წილი სამგლოვიარო ფერი და სხვა სხივებთან ერთად გამოანათა ძეელის გამაღვიძებელის და დამატებობელის ძალით. პირველ ივნისს ეწვია კულაშის ჯვარუმის ეკკლესისა და მის მრევლს არა ჩვეულებრივი ძვირფასი სტუმარი; ამ დღეს პირველად ნახა კულაშის ეკკლესის მრევლმა თვისი სანატრელი მღვდელმთავარი ლეონიდი. საღამოს ოთხ საათზე მობრანდა და მისი უსამღვდელოესობა (თან ახლდა დეკანზი ყუბანევილი) სამტრედის სადგურზედ, საღაც მისს მეუფებას დაზედნენ აღგილობითი ბლალოჩინი ერმალოზ კანდელაკი, სამტრედის ბოქაული ბ-ნი მახარაძე და კულაშის საზოგადოების მამასახლისი და წარმოუძღვნენ კულაშის ჯვარუმის ეკკლესიზე, სადაც მ. კანდელაკის განკარგულებით მთელი საბლალოჩინო ოლქის მღვდლები იყვნენ შეგროვილი მისის მეუფების შესახვედრად. სასიამოვნო სანახავი იყო ამ დღეს კულაშის ეკკლესია: მისი ვეებერთელა გალავანი მთლად სავსე იყო ხალხით. საზოგადო

სიამოვნებას მოეცო უველა კულაშის მკვიდონი— თვალი და გლეხი, ჭალი და კაცი, მზატუტი და ყმაწვილი; სუყველა გრძნობდა ერთგვარ გამაცოცხლებელ ძალას და მხიარულობდა. ხალხში, როგორც ეკკლესიაში ისე გარეთ, რაღაც ღვთის ნიერი სიჩუმე სუფევდა— ჭევიანი და ბრიყვი ერთნაირი მომოუთმენლობით მოლოდინში იყვნენ გართულნი და საღაპარაკოთ არ ეცალათ. მხოლოდ ცნობის მიყვარე ბავშები— მოსწავლეები, რომელთა მხიარულებესაც საზღვარი აღარ ქონდა, მოუთმენლობას შეეცყროთ და აქა იქ ფრთხილად, კურდღლელივით, რომ მასწავლებლებს არ შეენიშნათ, პირალმა შეხტებოდენ ხოლმე ქვის ლობეზე გარდასახედავად „მოდის“, თუ „არა“—ო. ამ დროს დაიგრიალა ზარამ ძველი დახავესებული ხის სამრეკლოდამ და ანიშნა მომლოდნელთ „მოდის“. კიდევ რამდენიმე წამი და შემოღვა მათმა მეუფებამ რკინის ჭიშკარში ფეხი. ბავშებმა ერთ წამს კრავებივით მიაჰყრეს თვალები და იმ წამსვე ჭიშკრილამ დაწყებული თვით ეკკლესის დასავლეთის კარებამდის, მათს ორს წერებში ელექტრონიკით გაქონდა— „მოდიდა“— „მოვიდა“— „ო. მასწავლებლიდგან მისული სიტყვები რიგოვარ გადაეცათ ეკკლესიაში შემოსილი მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულ მღვდლებს, რომელთა სახეზედაც გამოხატული იღლვება მხიარულ შეშეოთხბად გარდაიქცა და ზოგს მათგანს შიშადაც გარდაეცემოდა, რომ ამ დროს მათი მეუფების სახის დანახვას არ დაემშვიდებინა ისინი. ეკკლესიაში გაღობდა კულაშის ნორმალური შკოლის მოსწავლები, ამა შკოლის ზედამხედველის ბ-ნ მკურნალის ლოტბარობით, რომელიც მიჩვეულია კულაშის საზოგადოებასთან 16—17 წელიწადი ტკბილი და მწარის განაწილებაში; მძიმე ავალმყოფობამ ვერ დააკავა ის და სხვა მასწავლებელთან ერთად თვისი მოსწავლეებითურთ პატრისცემით შეხვდა მისს მეუფებას. პატრიცემულს მღვდელ-მთავარს მხარს უშვენებდა ჭალარა, არა წლოვანების თანახმად გათერებული, სიცოცხლით სავსე ბლალოჩინი— კანდელაკი, რომელმაც ეკკლესიაში შესვლის თანავე შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ ყოვლად უსაშეღვდელოესობას: „თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა, უმოწყალესო მწყებს-მთავარო ლეონიდ დიდის აღთროვანებით, მოწიწებით და სიყვარულით მიეგებება თქვენს მეუფებას რწმუნებული ჩემ-

დამო სამღვდელოება და აქ დამსწრე საზოგადოება და ისურვებს თქვენთვის ხანგრძლივ სიცოცხლეს და ყოველივე ბენიერებას. ბენიერია ის სამწყსო, რომელსაც მონიკება მწყებს მთავარი, უმაღლესად განათლებული, შეგნებული და შემკობილი ყოველივე მწყებს-მთავრული და კაცობრიული ღირსებით. ღრმაც მრწამს, რომ შხოლოდ ამისთანა მწყებს-მთავარს შეუძლია ჯეროვანად დამწყსოს თავისი სამწყსო და იქნიოს მასზედ ჭეშმარიტი მამობრივი მჩრუნველობა. ასი წელი შესრულდა, მეუფეო, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკკლესია შეუერთდა რუსეთის ეკკლესიას და ეს საუკუნე ჩვენ, იმერლებისთვის იმითია, სხვათა შორის, სახსოვარი და კეთილად სახსენებელი, რომ სწორეთ ამ ღრის ღვთის განგებამ გარდმოულინა იმერეთს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, რომლის ფერტვლის წინაშე ქვედა იხრის, როგორც იმერეთი, ისე მთელი ქართველობა. ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა, თითქმის ნახევარი საუკუნე დამწყსო თავისი სამწყსო და მთელი აავისი სიცოცხლე შესწირა მის ბენიერებას. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, როდესაც შემოკლენ დღენი ცხოვრებისა მისისან და ერთი ნაბიჯით მიუახლოედა საფლავს, არა ერთხელ იტყოდა: „ვაი თუ ჩემს შემდეგ ჩემს ეპარქიაშიდ შემოვიდეს იმისთანა მწყებს-მთავარი, რომელმაც მოსპოს ეს ჩემი წესწყობილება და მშვიდობიანობის მაგივრად ჩამოაგდოს შფოთი და არეულობა“. მაშ, ნეტარხსენებული გაბრიელი ზრუნავდა თავის მომავალ მემკვიდრეზედ. მთელი მისი ყურადღება იყო. მიქცეული თქვენი მეუფებისაკენ: მას სურდა, რომ თქვენ ყოფილიყავთ მისი მემკვიდრე, თუმცა ეს ასე არ იყო მასზედ დამოკიდებული, მაგრამ ეს იყო მისი წრფელი სურვილი, მისი გულის სიღრმიდამ ამოსული საკეთილდღეოდ და წარსამართებლად იმერეთის სამწყსოის. ნუ თუ გიცნობდათ თქვენ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი? არა, პირადათ ის თქვენ არ გიცნობდათ, მაგრამ იცნობდა თქვენს უმაღლეს განათლებას და შეგნებულებას, იცნობდა თქვენს მიმართულებას, უნარს და თქვენს მთამომავლობას. იმან კარგად იცოდა, რომ თქვენ იყვით სისხლთა და ხორცავან იმ სასიქადულო მწყებს-მთავრისა, რომელიც ცნობილია: «ალექსანდრე აღმაშენებელად», ვინაიდგან მან აღაშენა და განამშევნა მრავალი მონასტრები და ეკკლესიები და შეძი-

ნა ჩვენს ქართულ მწერლობას ძველი თხზულებანი თვისი საფასის დაბეჭვდით. გაბრიელი და ოლექსანდრე—ი ეს ორი სასიქადულო მღვდელ-მთავარი მეცხრამეტე საუკუნისა, რომელთა მოღვაწეობა ოქტოს ასოებით იქნება აღბეჭდილი ჩვენი წამებული სამშობლოს ისტორიაში და საკუკლესიო მატიანეში. ყოვლად სამღვდელო ილექსანდრემ სიყრმიდანვე ჩავინერგათ თქვენ გულშიდ თესლი კეთილ სარწმუნოებისა, ღვთის სასოებისა, სამშობლოს სიყვარულისა, სახელმწიფოს ერთგულებისა და მისწრაფება ბერობის ხარისხისაღმი. გარდა ამისა, კარგად მახსოვეს ის ღრი, როდესაც თქვენ სწავლობდით თბილისის სასულიერო სემინარიაშიდ, მაშინაც ცხადათ გეტყობოდათ სიყვარული ბერული, მყუდრო ცხოვრებისა. თქვენი სული მაშინვე ელტოლა შავმოსილობის სახით ეკკლესიურ მოღვაწეობას და დიდებას და დიდებას თქვენი ბიძისას შეაღებენ ის, რომ ეს თქვენი კეთილსათნოებიანი მიღრეკილება მან განაცხოველა, აალორძინა და ბრძნულად აღზარდა თქვენ ნორჩი გულში. სწორედ ბიძა თქვენის სასიქადულო გავლენას უნდა მიეწეროს, რომ თქვენ ჯერ ისევ სწავლის ღრის აკადემიაში შეიმოსეთ ანგელოსებრივი სახე და ამით განემზადეთ სამშობლო ეკკლესიის თავდადებითი სამსახურისთვის. როგორც ვიცათ თქვენი მისისინერული მოღვაწეობა დიდად ნაყოფიერი და ნაკურთხი იყო ღვთისაგან. თქვენი სახელი ტკბილად მოსაგონებელი და გისახარელია დღესაც გუდამყარ-ფშავ-ხევსურეთში, სანიგილო და მესხეთში, ოსეთში და ქისტებში. „გაგვიფრინდა ანგელოსი“-ი ამოიკვნესეს ამ მთიულებმა, გაიგეს რა თქვენი დანიშვნა იშერეთის ეპარქიაზედ. დღე თქვენი ქორეპისკოპოსის ხარისხზედ აღყვანისა იყო თბილისისათვის კეშმარიტად ბრწყინვალე დღესასწაული, რომელმაც მიიზიდა აუარებლად მკვიდრნი თბილისისა განურჩევლად ერობისა, წოდებისა და სარწმუნოებისა. თავდაბლობით, კეთილგულობით, სისწორით და პატიოსინებით თქვენ დაიმონავეთ გული და სული მთელი თბილისელი ქართველობა. ქართველი ერი მიეშურებოდა იმ ეკკლესიისაკენ, საღაც თქვენ მწირველი ბრძანდებოდით, რომ ღმიტკბარიყო თქვენი ჩვეულებრივი მჭერმეტყველი სწავლა-მოძღვრებით. საგულისხმო, საგრძნობელი და მჭერმეტყველურად მოსაზრებული შინაარსი ბევრი თქვენი სიტყვებისა აღმონცდეული აქვს თქვენ

სამწყსოს გულის ფიცარზედ და მოვალეობად მიაჩნია გადასცეს იგი მცნებად ჩამომავლობას. დაუვიწყარია, სასიქადულო მწყემსთ-მთავარო, თქვენი აღფრთოვანებული სწავლა-მოძღვრება, თქმული ამ ეპარქიაში პირველად შემობრძანების დღეს, და განსაკუთრებით ის წამი, როდესაც მთლად მოცულმა სიმდაბლით, ლმობიერებით და სიმშვიდით მიმართეთ იქვე მდგომს სამღვდელოებას და წრფელი გულით და გრძნობით შესთხოვეთ, რომ მას შეესუბუქებინა თქვენთვის მწყემს-მთავრული დიდი ტვირთი. დახ, მეუფეო, ტვირთი თქვენი არის უუმძიმესი ყოველთა ტვირთა. როგორც იქსო ქრისტეს არ შეეძლო მარტო გაევრულებინა ქრისტიანობა მთელს ქვეყანაზედ, არამედ მან აღირჩია თანაშემწენბად მოციქულები და გაგზავნა ყოველ კუთხეშიდ ქვეყნისა ქრისტიანობის დასამყარებლად, ისე თქვენც, მეუფეო, არა ძალგით მარტო დამწყსოთ თქვენი სამწყსო, თუ სამღვდელონი არ იქნებიან თქვენი თანაშემწენი. ჩვენ მზათა ვართ, მეუფეო, ხელი შეგიწყოთ და შეგიმსუბუქოთ თქვენი მძიმე მწყემს-მთავრული უღელი, რითაც ვიღონებთ და რამდენადც შესწდება ჩვენი სწავლა-განათლება, მზად ვართ თავ-განწირულად ვიყვნეთ განმახორციელებელნი ყოველთა თქვენთა განკარგულებათა, ვინაიდგან სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ეს გამოდის თქვენი ჭიუდამ და თქვენი კალმის წვერიდამ და არ არის კერძოთა პირთა ზედგავლენის შედეგი. დღეს ყველა: სამღვდელონი და საერონი, დიდი და პატარა, მოხუცი და ყრაწვილი თავისუფლად მომართავენ თქვენს მეუფებას და იღებენ თქვენგან სრულს კმაყოფილობას მართმასაჯულების ფარგალში, ვინაიდგან თქვენ თაყვანს სცემთ სიმართლეს და უარსუფლოთ უსამართლობას. თქვენი უმაღლესი განათლება, თქვენი შეგნებულება, თქვენი მახვილი ჭკუა, თქვენი ენერგია, თქვენი მიმართულება და თქვენი წლოვანება უტყუარი თავდებია იმისი. რომ თქვენ დამწყსით იმერეთის სამწყსოს ისე, როგორც გიანდერძათ უმაღლესმა მწყემს-მთავარმა იქსო ქრისტემ და გაგვიწევ ჩვენ დღეს ნამდვილ მამობას და ამის გამოა, რომ ჩვენ განვიხერგებით და ვიხარებთ. თქვენ ეხლა, მეუფეო, დაბრძანდებით ეპარქიაში, რომ ადგილობრივ გაეცნოთ სამრევლოებს, შეიტყოთ მათი სულიერი მდგომარეობა, შეიტყოთ თუ რამდენად თვითეული ეკკლესიის

მსახური მტკიცედ ასრულებს თავისი საღრმოო მოვალეობას, შეიტყოთ ეკკლესიის სიმღდიდრე და სიღარიბე და თითოეულს ნაკლ შესაფერი მალაში დასდოთ. დდეს თქვენ მობრძანდით ჩვენს ღარიბ ტაძარშიდ, რითაც გაგვახარეთ და დახხლოვებით გაგვაცანით თქვენი თავი. საღიღებელად ღვთისა და სახსოვრად პირველად აქ თქვენი მობრძანებისა მზად არიან დღეის რიცხვიდამ ამ ეკკლესიის სამრევლონი, პატივცემულნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი შეუდგენ ამ ტაძრის გამშვენებას, რომ ის შეიქმნეს ნამდვილი ღვთის სახლი. ნიშნად უულრმესი პირადათ ჩემი ჰატივისცემისა და რწმუნებული ჩემდამო სამღვდელოებისა თქვენი მეუფებისადმი მაქვს პატივი მოვართვათ ეს საქართველოს ერის განმანათლებელის, წმიდა ნინოს ხატი და შევთხოვ უზენაეს არსებას, რათა მოციქულთა სწორი, ღირსი დედა ნინო იყოს თქვენი მფარველი, წინამდლომელი და შემწე სრულიად თქვენი მწყემს-მთავრობის დროს; მოგცეთ მან ძალი და სიმბნე, რომ თქვენც დაგემწყსოთ იმერეთის სამწყსო ნახევარი საუკუნის განმავლობაშიდ და მოგეხვეჭოსთ ის განუსაზღვრელი სიყვარული, რომელიც სუფევდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის და მისი სამწყსოს შორის. მიიღეთ, ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო, ეს ხატი ჩვენი განმანათლებლისა როგორც წინდი ჩვენი თქვენდამი ულრმესი პატივისცემისა: მიიღეთ, ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო, ეს წმინდა ხატი საქართველოს მოციქულისა, ემბორეთ მას და გარდმოავლინეთ მისი მაღლი და კურთხევა ჩვენზედ; დაგვატკბეთ თქვენი ჩვეულებრივი მჭერმეტყველი სწავლა-მოძღვრებით“. დასასრულ თავისი სიტყვისა მ. კანდელაკმა თავის სამღვდელოების და მრევლის მხრით, ნიშნათ ულრმესი პატივისცემისა და სიყვარულისა მიართვა მათ ყოვლიდ უსამღვდელოებისა ძვირფასი ხელოვების წმინდა ნინოს ხატი... თუ როგორ გამაცოცხლებელმა და გამასპეტაკებელმა ერუანტელმა დაურბინა ყველა იქ მყოფს. როცა მ. ბლალობინმა ხატით ხელში წარსდგა თამამად ნაბიჯი მათის მეუფებისაკენ შემდეგ სიტყვისთ: „მიიღეთ, ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო, ეს წმინდა ნინოს ხატი, როგორც წინდი ჩვენი ულრმესი თქვენდამი პატივისცემისა; მიიღეთ ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო, ეს წმიდა ხატი საქართველოს მოციქულისა“ და სხვა, ძნელი წარმოსადგენია მის-

თვის, ვინც აქ არ დასწრებია. ბლალოჩინი კანდელაკის შემდეგ მეტად ვრცელი და ბრძნული სიტყვა წარმოსონება მისმა ყოვლად უსამღვდელოებისამ, რომე უშიდაც, სხვათა შორის, გაახსენებდა იქ მყოფ სამღვდელოებას, თავადთ და გლეხთ მათ მოვალეობას ეკულესისა და მამულისადმი, რომელსაც ასაბუთებდა ისტორიული მაგალითებით. შემდეგ მათმა მეუფებამ ინახულა იქვე ახლოს მდგარი ქვიტკირის ძველი ეკულესია. აქედამ გამობრძანების შემდეგ, მათ მეუფებას წარუდგა კულაშის ნორმალური შეკლის ზედამხედველი ბ. შკურნალი, რომელიც გააცნო მათ მეუფებას მამა ერ. კანდელაკმა. მისმა მეუფებამ მიმართა მას შემდეგი სიტყვებით; «თქვენზე ბევრი კარგი გამიგონია და გისურვებთ შემდეგისათვის კეთოლ წარმატებასაო» და გარდასცა ლოცვა-კურთხევა. ამის შემდეგ მათი მეუფება მივიღა მოსწავლებთან და კითხა რამოდენიმე ლოცვა და ანგარიში და როცა მიიღო თავის კითხვებზედ მართალი პასუხი, მათი მეუფება თავზე ხელის დასმით მოეფერა ბავშებს და გაშორდა. ამის შემდეგ მათი მეუფება წაბრძანდა სარევიზიოთ სხვა ეკულესიებზე კანდელაკის საბლალოჩინოშიდ, რომელსაც მოუნდა ხუთი დღე. ყველა ეკულესიებზე მათ ყოვლად უსამღვდელოებისა დიდ ძალი ხალხი ხვდებოდა, ისმენდენ მის ბრძნულ ქადაგებას და ღებულობდენ ლოცვა-კურთხევას დილით ექვს ივნისს, მათი ყოვლად უსამღვდელოებისა ისევ სამტრედით სხვა საბლალოჩინოში წაბრძანდა სარევიზიოთ.

სკოლის მასწ. ვლადიმერ არეშიძე.

ახალ ჩაშეაღო სკოლის მირითადი დებულებანი, რომელიც შეიმუშავა სარევიზორშო კრისიდ.

1) მთავრობის საზოგადო განათლების საშუალო სკოლი უნდა იყოს ერთი, ერთგვარის ტიპისა: შენიშვნა 1. ის საშუალო სკოლები, რომელთაც ინახავს ქალაქი, ერთა, კერძო საზოგადოება, წმდება და მთავრობაც დახმარებას უწევს, მთავრობის სკოლის ტიპისა უნდა იქმნეს, მაგრამ ცვლილების მოხდენაც შესაძლებელია, თუ საერთო განათლების მინისტრის ნებართვა იქმნება.

შენიშვნა 2. ის საშუალო სკოლები, რომელთაც ინახავს სრულის თავისის სარჯოთ შირველ შენიშვნაში დაწესებულებანი ან კერძო შირები, შეიძლება განსხვავდებოდნენ საზოგადო ტიპის სკოლებისაგან. მხოლოდ ურველ ამისთანა შემთხვევისათვის საჭირო შინისტრის ნებართვა.

2) საშუალო სკოლის დანიშნულებაა აღზარდოს ახალი თაობა, მისცეს მას დასრულებული საშუალო განათლება და მოამზადოს უმაღლეს სასწავლებლისათვის. ამასთანვე საშუალო სკოლის პრეცედენტი 3 კლასის კურსი ერთი მოელი დასრულებული ტურის უნდა იქმნეს.

შენიშვნა 3. იმ დაბალ სკოლების მთხოველეთ, რომელთა შრომისა უახლოვდება საშუალო სკოლის 1-ლ სამ კლასს, შეუძლიანთ შევიდნენ მეთხე კლასში, თუ ეგზამენს დაჲჭერენ იმ საგნებში, რომელიც ან შედაღნენ დაბალ სკოლების შრომისში, და აგრეთვე უმთავრესს საგნებშიაც.

3) საშუალო სკოლა შვიდ კლასიანია.

4) საშუალო სკოლის პირველი 3 კლასი საერთო და სავალდებულოა ყველა მოსწავლეთათვის. აქ ასწავლიან: სამღვთო სჯულს, რუსულ ენას, სამშობლო და საზოგადო ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას, ბუნების მეტყველებას, ახალ ენებს, ხატვასა და ხაზებს და სუფთა წერას.

შენიშვნა 4. მთხოველენა. რომელიც კარგად გაათავსებენ ჰირველ 3 კლასს და არ მოისურვებენ სწავლის განვითარებას, მიიღებენ დაბალ განათლების გათავსების მთწმობას.

5) მე-IV კლასიდან დაწყებული, საშუალო სკოლის მოსწავლენი გაიყოფებიან ორ ნაწილად: ერთი სწავლობს ბუნების მეტყველებისა და გრაფიულ ხელოვნების დამატებით კურსს, მეორე ამ სავანების მაგილ და იმავე საათებში ისწავლიან ლათინურს.

ორივე ჯგუფისათვის საერთო სავალდებულო საგნებია: საღმრთო სჯული, რუსული ენა და ლოკია, სამშობლო და საზოგადო ლიტერატურა, კანონების შესწავლა, სამშობლოს შესწავლა, ფრანგული და გერმანული ენები, შაჰემატიკა, ფიზიკა, კოსმოგრაფია, სამშობლო და საზოგადო ისტორია, გეოგრაფია და ბუნების მეტყველება.

6) ყველა უნივერსიტეტის ქალაქებში და ვილნიში დარჩება თითო საშუალო სკოლა ორივე ძველი ენით.

7) ბერძნულ ენის სწავლება, როგორც არა სავალდებულო საგნისა, შეიძლება სხვა საშუალო სასწავლებლებშიაც სასწავლებლის საშუალების და მსურველ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. ამავე გარემოებათა მიხედვით შეიძლება ინგლისურ ენის სწავლების შემოღებაც.

8) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოექცეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას და სასკოლო დისკიპლინას; ამასთანავე წინანდელზე მეტი უფრადღება უნდა მოექცეს გიმნასტიკას და ფიზიკურ ვარჯიშობას, ექსკურსიებსა და სეირნობას.

9) სიმწიფის ატესტატები აღარ იქმნება. ვინც კარგად გაათვებს საშუალო სკოლას, მიიღებს საშუალო განათლების გათვების მოწმობას და უფრადღება ექმნება შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში შემდეგის წესის მიხედვით:

ა) ვისაც ორივე ძველი ენა უსწავლია, მას მიიღებენ უეგზამენოთ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე.

ბ) ვისაც მარტო ლათინური უსწავლია, თუ მოისურვებს ისტორიუმ-ფილოლოგიურზე ან ლვის მეტყველების ფაკულტეტზე (დარპატში) შესვლას, დამატებითი ეკზამენი უნდა დაიჭიროს ბერძნულში.

გ) თუ რა წესით მიიღებენ დანარჩენ ფაკულტეტზე შეორე (ბ) მუხლში მოხსენებულ პირებს და აგრეთვე იმათაც, რომელთაც არც ერთი ძველი ენა არ უსწავლიათ, ამას გამოარკვევენ შესაფერი ფაკულტეტები და დაამტკრეცხს საერთო განათლების მინისტრი.

დ) უმაღლესა სპეციალურ სასწავლებლებში მიიღებენ მოსწავლეთ ამ სასწავლებლების წესდების მიხედვით.

10) სამრეწველო და სხვა ყოველგვარ ტეხნიკურ სასწავლებლებში, რომელთაც კი საზოგადო განათლების კურსი აქვთ, ერთის სკოლიდან მეორეში ვადასვლის გახადვილებლად პირველ ვ კლასის პროგრამები დაახლოვებით ისეთივე უნდა იქმნეს, როგორიც არის საშუალო სკოლის პირველ ვ კლასში.

11) არსებული 4 კლასიანი პროგრამაზები გად კეთდება დაბალ ვ კლასიან სკოლებად (ნახე მუხ. 2 და 4) და ექს-კლასიანი კი—შვიდ-კლასიანად.

ეროვნული გამარჯვების გამოყენება

ნეტავი თუ შეიძლოს კაცმა ქვეყანაზე კაცური ცხოვრება, რომ ათასნაირი მწუხარება და უკმაყოფილება არ იგრძნოს. ნეტავი თუ შეიძლოს კაცმა გულგრილად უცეიროს ხალხის ცხოვრებას, როცა მის თვალის წინ ფუსტუსობენ და პარპაშებენ სულმდაბალნი, ცალის-მწამებელნი, მოშურნენი, მექრთამენი, ამპარტავნენი, ფლიდნენი, გულდიდნი, ფარისეველნი, მლიქენელნი, ორპირნი, გონებით ჩლუნგნი, უნიჭონი და თავის კუჭის მონანი? როგორ შეგიძლიათ გულ-გრილად უყუროთ ამისთანა პირთა, როდესაც იგინი საზოგადოების უმეტესობას შეადგენენ. მართალია, დიოგენი დღისით ფარნით დაექცებდა რიგიან კაცებს და ვერ პოულობდა, მაგრამ დიოგენიდამ დღემდე დიდმა დრომ განვლო და ხალხის განათლებამაც იმდენად წინ წაიწია, რომ ჩვენს დროში—მეოცე საუკუნის დამდეგს—არ უნდა იყვნენ ამისთანა პირნი. ტყუილი გამოდგა ფილოსოფოსების დასკვნა, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს კაცთა შორის მოისპობა ომიანობა, მოისპობა უურიანობა, მტრობა, ორპირობა, ფლიდობა, ვერაგობა და სხვა ეშმაკური საქციელნი და ქვეყანაზე დამყარდება მშვიდობა, ძმობა და სიყვარულით. სად მოისპონ ცუდი თვისებანი ხალხთა შორის და სახელმწიფოთა შორის ომიანობა? აბა თვალი გადა-ავლეთ სამხრეთ-აფრიკის მხარეს, რას ჩადიან იქ ინგლისელები—ეს ვითომ უველა ხალხზე განათლებული ერი? ამ უკანასკნელ დროს ინგლისელებმ, გაღასწყვიტეს, რომ უთუოდ სულ უნდა გაფელიტოთ ბურებიო!.. სხვა სახელმწიფოებიც თავიანთი სიჩქმით თანხმობას უცხადებენ. ან კა აქვთ უფლება რაიმე უთხრან ინგლისელებს, როდესაც მრავალი მათგანი უარეს საქმეს ჩადის?

დიახ, დარწმუნდი, ამაყო კაცის გონებავ, რომ შენი ბუნება მოშლილია ცოდვით და დიდი გამჭრიანობა გვირდება, რომ დასძლიო ცოდვით მოშლილი შენი ბუნების არა კეთილი მიღრევი-ლებანი. დიდი გამჭრიანობა გვირდება შეიგნო შენი არარაობა და ბედნიერება ეძიო არა მარტო ნივთიერებაში, რადგან ნივთიერი სიმღიდრე არავის

ანიჭებს ამ ქვეყანაზე ბედნიერებას. დროა შეიგნო და დარწმუნდე, რომ შენი სულიერი არსება არა-სოდეს არ დაკმაყოფილდება მარტო ნივთიერი საგნებით. გამოიკვლიე, შეიტყო და დარწმუნდი, რომ შენ ხარ გვირგვინი ღვთის ქმნილებათა, შენ ხარ შეფე ამ მშვენიერი ქვეყნისა, ვიდრემდის სრულებით არ დაგიკარგავს ხატება და მსგავსება ღვთისა, შენის შემოქმედისა. როცა ავ ხატებას და მსგავსებას დაკარგავ, მაშინ შენ გვირგვინი და მეფე კი არა ხარ ამა ქვეყნისა, არამედ უმდაბლესი და უბედური ყოველ პირუტყვა ცხოველთა შორის. არა გჯერა ესე? ყური დამიგდე და მოისმინე რა-სა ბრძანებს სალრმთო წერილი: „ვიხილე მე ცანი ქმნულნი თითა შენთანი, მთოვარე და ვარსკვლა-ვები, რომელ შენ დააფუძნე. რაი არს კაცი, ან ძე კაცისა, რამეთუ მოხედავ მას. დააკლე იგი მცირედ რაიმე ანგელოსთა, დიდებითა და პატივთა გვირგვინოსან ჰყავ იგი და დაადგინე იგი ზედა-ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქვეშე ფერხთა მისთა. ცხოვარი და ზრახა ყო-ველივე მერმეცა და პირუტყვნი ველისანი. მფრინ-ველნი ცისანი და ოევზნი ზღვასანი, რაოდენი ვლენან ალაგებსა მას ზღვათასა“... ნუ იქადით ბრძენი სიბრძნითა თვისითა, და ნუ იქადინ ძლი-ერნი ძალითა თვისითა და ნუ იქადინ მდიდარნი სიმდიდრითა თვისითა... სთქვა უგნურმან გულსა შინა თვისსა აჩა არს ღმერთი, განირყვნენ და ბილწ იქმნენ იგინი... კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაჲურ, ბაძვიდა იგი პირუტყვსა, უგუნურსა და მიემსგავსა მას“...

**

„თესლისაგან არა წმიდისა, კაცისაგან ცრუსა და მზადვარისაგან მიხსენ მე... რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე, ესევდ ღმერთსა, რამეთუ მე აურო მას, მაცხოვარსა პი-რისა ჩემისასა... ჭირსა შინა ჩემსა უფლისა მიმართ ღალატვავ და ისმინა ჩემი. უფალო იხსენ სული ჩემი ბაგეთაგან ცრუთა და ენისა მზაკვრისა... ისარნი ძლიერისანი ღესულ არიან... განმარინე მე უფალო კაცისაგან უგნურისა და კაცისა ცრუ-საგან მიხსენ მე. რომელთა ზრახეს უსჯულოება გულსა შინა მათსა ყოველსა დღესა შინა მათსა, ყოველსა დღესა განაწყობენ ბრძოლათა. აღილე-სეს ენა მათი, ვითარცა გველისა, და გესლი ას-

პიტთა ბაგეთა მათთა. მიცევ მე უფალო ხელისა-გან ცოდვილისა და კაცთა უსამართლოთავან მის-სენ მე. დამირწყეს მე ამპარტავანთა მახე, დასაბ-ლითა განართხეს მახე ფერხთა ჩემთვის».

აი ამ სიტყვებით ვნუგეშობ, ამ გვარი საკი-თხავებით ვიტკბობ სულსა და გულსა, როდესაც ჩვენი მტერნი და მოშურნენი აღილესვენ ენათა თვისითა ცილის საჭამებლად და საბეჭდარად. ყო-ველივე სამარცხვინო საქციელნი თვისინი, ყოველი ბოროტ-განზრახულება, ყოველივე არა წმიდებით შეძინება და ვერაგული საქციელნი უნდათ გაამარ-თლონ ბეზლობითა თვისითა და ცილის წამებითა. და რას არ გვწამებენ ეს მოშურნენი!.. ამაყობას და კაცის ჩაუგდებლობას, მეუფროსეთა თვისითა წინააღმდეგობას და ჩაუგდებლობას, სხვა პირთა თანამდებობის ადგილებში შეცილებას და შეხარ-ბებას!.. საქვეყნოთ გამოცხადებული გვაქვს, რომ სოფლის მღვდელობის წოდება უმეტესად მიგვაჩ-ნია და გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს სიცოცხლეში ამ აღთქმას და გადაწყვეტილებას არ უმტკუნოთ. იციან კარგად ჩვენ მეშურნეთა, რომ უკეთესს და უმჯობეს ადგილებზე უარი განვაცხადეთ, (რომ-ლებზედაც წერილობითი საბუთებიც გვაქვს), მაგ-რამ მოშურნენი თავიანთი ცუდი მიმართულების და საქციელის გასამართლებლად მაინც გაიძიან: ადგილს „გვეცილებაო“. ყოველი თავიანთი სიმ-დაბლის და საზოგადოების მხრით სამდურავის მი-ზეზად ჩვენ გვსახვენ! ამის მეტი ამ საკოდავთ თავის გასამართლებელი მძხეზი არა აქვსთ რა! ან კი როგორ უნდა გაიმართლონ სხვა რიგად თავი? თავიანთ ბნელით მოცულს საქციელს ხომ არ გამოაშკარავებენ და არ გამოტყვდებიან და იტ-ყვიან: თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავენი და არა სხვანიო? დეე, იპარპაშოს სივერაგემ, ცილის-მწა-მებლობამ და ენა ტანიაობამ ღრომდე. არ შეიძლება სიმართლე დაიხშოს სამუდამოდ. სახარების სიტყვებისამებრ არა არის რა დაფარული, რომე-ლიც არ გამოაშკარავდეს და არ დაიგმოს. მზად ვართ მოთმინებით მივიღოთ ყოველივე ღევნუ-ლება მოყვარეთა და მოძულეთაგან, შინაურთა და უცხოთაგან. გვრწამს და ვსასოებთ, რომ რამდე-ნათაც ძლიერი იქმნება ღევნულება ცილის-მწამე-ბელთა, იმდენად მეტად იქმნება გამოცხადებული ბნელნი საქმენი მათნი, რომელთა თქმა სირცხვილ არს...

„არა შემეშინოს მე ბევრეულისაგან ერისა, რომელთა იგი გარემო მომიცვეს მე. აღსდევ, უფალო, მაცხოვნე მე ღმერთო ჩემთ, რაშეთუ შენ დასცენ ყოველნი, რომელნი მემტერნეს ამაოდ, კბილნი ცოდვილთანი შენ შემუსრენ. ვინარებდე და ვიშვებდე შენდამი, და უგალობდე სახელსა შენსა მაღალო. რა უამ უკუნ იქცეს მტერი ჩემი მართლუკუნ, მოუძლურდენ და წარწყმდენ პირისაგან შენისა... აი საკითხავი, რომლითა ვნუგე-შობთ ყოველთვის. ამისთანა საკითხავებით ვნუ-გეშობდით იმ დროსაც, როცა თავს დაგვეხსენ არა ჯოხებითა და წათებითა, არამედ ბერდანკებითა და ჩვენს სახლში თავისუფლად დაბრძანდებოდნენ დაუპატიჟებელნი სტუმარნი და ბრძანებ-ლობდენ ჩვენზედა...“

სოფლის სუცესი.

რაციონალისტური მწვალებლობა (ექსტ-
რისა) რუსეთში
(უწ. სინდის თბერ-შროვურობის უქვეშ. მთხსენებიდან)

ახალ მწვალებელთა მოძრაობას, განსაკუთრებით შტუნდისტებისას, ყველგან მღვდლვარება და მოუკენრობა ეტყობოდა. სამხრეთ რუსეთში, მაგალითად, საქმე იქამდე გამწვავდა, რომ შტუნდისტები უდიერად ეპყრობოდნენ და დასკინოდნენ მართლ-მადიდებლებს, განსაკუთრებით მღვდლებს, პოლიციას და საზოგადოდ თანაძებობის პირთ, სასაკილოდ იგდებდნენ მართლმადიდებლობის სიწმინდეს და დაუფარავად იყრცელებდნენ მართლ-მადიდებელთა და ქველ მწვალებელთა შორის თავიანთ სწავლას.

მიუხედავად 1894 წლის უმაღლესად დამტკიცებულის აზრისა, შტუნდისტები ერთად თავს იყრინენ და თან მართლ-მადიდებლებიც მიჰყავდათ თავიანთ კრებებზე. პოლიციას არა თუ არ ემორჩილებოდნენ, ხშირად ძალასაც ხმარობდნენ მის წინააღმდეგ და აცხადებდნენ, რომ ისინი არ დაემორ-

ჩილებიან არსებულ კანონს, რადგან იმედი აქვთ ახალი კანონის გამოცემისა და იმ გავლენიან მე-გობრებისა, რომელნიც მათ პეტერბურგში ჰყავთ. მისიონერებთან შტუნდისტები არ მიღიან, ბავშვები გამოჰყავთ სკოლებიდან, როგორც კი წერა-კითხვას ისწავლიან; ამიტომ სკოლებს აღარ შეუძლიათ იქონიონ მათზე ზეობრივ-სარწმუნოებრივი გავლენა...“

ეპარქიების უფროსების მოხსენებათა აზრით, შტუნდისტების მოძრაობის ხელმძღვანელი სარწმუნოებრივი მოტივი კი არ არის, არამედ სხვა გარეშე მიზეზი.

პირველად ყოვლისა უნდა იღინიშნოს გავრცელება ხალხში სოციალ-ნიგილისტურ მიმართულებისა და „ტოლსტიოს ძისა“, რომელიც ქრისტიან სარწმუნოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგია.

ამ ცრუ იდეებსა და აზრებს ავრცელებენ შტუნდისტებ შორის მათი (აზრებისა და იდეების) აღმსარებელი ინტელიგიენტები: ესენი უხლოვდებიან შტუნდის მეთაურებს და ავრცელებენ ხალხში საზღვარ-გარეთ დაბეჭდილ წიგნებს, სადაც ისტემაშია მოყვანილი შტუნდის რელიგიურ-სოციალური აზრები და, რასაკვირველია, ეს სისტემა მიმართულია როგორც არსებულ ეკკლესიის, ისე სახელმწიფო წესშემსრულების წინააღმდეგ. სამხრეთ-რუსეთის შტუნდისტებსა და პეტერბურგის პაშკველებ შორის ვრცელდება მეტად მავნებელი რვეულები და საზღვარ-გარეთ დაბეჭდილი წიგნაკები, რომლებშიაც კატეტებშიმოს ფორმით მოყვანილია ტოლსტოისტებური და დუხობორული რელიგიურ-პოლიტიკური აზრები.

ინტელიგენტ-ხელმძღვანელების სისტემატიური აგიტაცია განსაკუთრებით გაძლიერდა სრულიად რუსეთის აღწერის დროს და ცოტა არ გაუკეთებია გაუნათლებელ მწვალებლების გონების ასაღელვებლად.

სხვა მიზეზთა შორის, ხელს უწყობს შტუნდის და საზოგადოდ მწვალებლობის გავრცელებას ჩვენის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც თავის თავს ლიბერალურს უწოდებს. საზოგადოების ეს ნაწილი ამ უკანასკენელ დროს დიდ მფარველობას უწევს მწვალებლებს, რომლებთანაც ზოგიერთ წარმომადგენლებს პირდაპირი დამოყიდებულება აქვთ, რაც იმედს აძლევს შტუნდისტებსა და სხვებსაც, რომ

მალე მათ სრულ თავისუფლებას მიანიჭებენ. 1898 წელს უკრნალ-გაზეთებში დაიძექდა ბევრი წერილები მწვალებლების სასარგებლოდ და წინააღმდეგ ჩვენის მისიებისა; ამიტომ არ უნდა გვიყვირდეს, რომ მწვალებლებიც გულ-მოღვინეთ ადვინებენ თვალ-ყურს ამ მათთვის სასარგებლო მიმართულებას ლიტერატურისას. საზღვარ-გარეთელ გერმანელ ბაპტისტებს, როგორც წინეთ, ახლაც აქვთ მცირდო კავშირი რუსულ შტუნდასთან. ესენი ზრუნავდნენ არა მარტო იმაზე, რომ გაევრცელებინათ ხალხში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დაწერილი წიგნაკები; ამათ ჰყავთ ჯამაგირიანი მქადაგებელნი მათია სწავლისა. ჰამბურგის ბაპტისტების სემინარიაში ამზადებენ შტუნდო-ბაპტიზმის საგანგებო მქადაგებლებს, ავრცელებენ საზღვარ-გარეთ ცნობებს რუსეთელ შტუნდისტების დევნა-წვალებაზე და მით თანაგრძნობას იძენენ მათთვის. 1898 წელს ლონდონში ტოლსტოის მიმღევარის ვლადიმირ ჩერტკოვის (ვორონეჟის გუბერნიის მემამულე) მეოხებით დაარსდა სტამბა და გამოიდის გაზეთი „ბრატსკი ლისტოკი“, რომელიც ეხლა ლისტკი სვაბოლნ-ლოსლოვა»-ს სახელით გამოიდის. ეს გამოცემა განსაკუთრებით რუსეთელ მწვალებლობის საქმეს ემსახურება და ჰყიუჩავს მართლმადიდებელ ეკკლესიას და მთავრობას. ამ გამოცემაში, სამწუხაროთ, დიდ მონაწილეობას იღებს ცნობილი მწერალი გრაფი ლევ ტოლსტოი, რომელიც ყოველ ნომერში სასტიკად ჰყიუჩავს მართლმადიდებელ ეკკლესიის სწავლის და რუსეთის მთავრობის მოქმედებას. ხსენბულ გაზეთის გამომცემლებმა დაურიგეს შტუნდის მეთაურებს ფურცლები კითხვებით შტუნდისტების მდგომარეობაზე ეკკლესიაში და სახელმწიფოში. ამ კითხვებზე მიცემული პასუხებია წყარო იმ ცნობებისა, რომელიც იძევდება ხსენბულ გამოცემაში რუსეთელ მწვალებლობის შესახებ. ბოლოს ხერსონის ეპარქიის მისიონერთა კრებამ 1898 წელს მიაქცია ურალდება შემდეგ გარემოებებსაც, რომელიც ხელს უწყობენ ახალ რაციონალისტურ მიმართულებას, განსაკუთრებით უსაშიშრესის და უმავნებელესის—შტუნდის გავრცელებას და განმტკიცებას.

რეთ შექმნილია ავიცილოთ სეტემბრი?

სასოფლო მეურნეობის წარმატებას და განვითარებას, როგორც გუწევთ, მთავალი ისეთი გარემოება უშლის სელს, რომლის თავიდგან აცილებაც გაცეს ძალას ზშირად არ ძალუმს. ასეთია, მაგალითად, ბუნების მოვლენაზი: გვალვა, სეტემბრი, განუწეველებელი წვიმები, დაუსრულებელი ქარი ამ ბოლო დროს ცოდნითა და ტეხნიკით აღჭურვილმა ევროპაში ბუნების ამ მოვლენებთან გამეჯავებაც მოისურვა. ჯერ-ჯერობით იგი სეტემბრისთან ბრძოლას შეუდგა.

სულ სამი-თოხი წელიწადია, რაც სეტემბრისთან საბორცოებელი ზარბაზნები შემთხვევეს და სარგებელი და საკეთე ამ საბორცოებელ საშეალებისა გვედრითვის აშენება შეიქმნა. ბირეველი სეტემბრისთან ზარბაზნებით ბრძოლას შტრიჩელი მემამულე შტრიგერი შეუდგა. ბევრმა მაშან სასაცალდაც კი ააგდო შტრიგერი, მაგრამ გავიდა სულ რადაც რო წელიწადი და შტრიგერის მაგალითს ავსტრიასა, იტალიასა და საფრანგეთში თათქმის უველა მემამულე მიჭიდას *). ამ ჟამად დასავალეთ ევროპაში ამ საქმის გამოსარცვევად რო ჟურნალიც კი იბეჭდება, უკვე მოხდა რამდენიმე კონგრესი და სამგან-თოხებან გამოფენაც გამომართა საბორცოებელ ზარბაზნებისა.

ოუ რა სწრაფად გავრცელდა სეტემბრისთან ბრძოლა, ამას შემდეგი ციფრები მოწმობენ. ვიჩენცის ოლქში 1899 წელს მხოლოდ 445 სეტემბრისთან საბორცოებელი სადგური იყო, 1900 წელს კი ეს რაცხვი 1630-მდე ავიდა. ბერძის ოლქში 1894 წელს—87, 1900 წელს კი—1,334. მთლად იტალიაში 1899 წელს 2000 სადგური იყო, ხოლო 1900 წელს სადგურების რაცხვმა 10,000 გადასახორა. ასევე გულ მოდგინედ შეუდგენს სადგურების გამართვას და სეტემბრისთან ბრძოლას უნგრეთსა, დალმაციასა, კორინტიასა, შვეიცარიასა და სხვაგან. უველანი დაწმუნებინენ ზარბაზნების სარგებლობას. ან კი როგორ არ დაწმუნდებოდნენ, როდესაც მაგალითი უველასათვის თვალსაჩინო შეიქმნა. იქ, სადაც წინად სეტემბრი სშირი სტუმარი იყო, საბორცოებელი სადგურების გამართვის შემდეგ, იგი ადარც ერთხელ ადარ მოსულა. უველანი ერთხმად მოწმობენ, რომ ზარბაზნია უებარი წამალია სეტემბრის წინააღმდეგათ. გინდის-ფერიცის ოლქში, იქ, სადაც შტრიგერის მაშულებია, უწინ

*) სეტემბრისთან ბრძოლას ზარბაზნების შემწებით წელს საუფლისწულო მამულის გამგეობაც შეუდგა კახეთში.

სეტემბრი უფლებულის ანადგურებდა ვენახებსა და ყანებს. წლის 1897 წლის შედგა ზარბაზნების სროლის და მას შემდეგ აღარც ერთხელ აღარ დასეტებულია იშისი შემულები, თუმცა ამავე დროს შეზოგებოთა მამულები, სადაც სადგურები არ არის გამართული, უწინდელერ ისეტემბე.

ზარბაზნების სროლის იმ წამის იწევებენ, რა წამსაც ცაზე შავ, საქვით ღრუბლებს შეამჩნევენ სოლმე. საუცადებია, რომ ასეთ სროლის შემდეგ სეტემბრის ნაცელად ან წიმის მოდის, ან კიდევ თოვლი. როგორც ბრძის სამუშაოთ სკოლის დირექტორის ანგარიშიდგანა სჩანს, 1900 წლის ზაფხულს ზარბაზნების სროლის შემდეგ ქალაქისა და იმის ახლო-შახლო ადგილებში თხხჭერ მოსულა თვეში: 27 აპრილს, 18 მაისს, 14 ოგნისს და 12 ივნისს. განსაკუთრებით დადი თვეული 12 ივნისს მოსულა: ზაფხულის პაპინაქება სიცხეში მთევზი თრი საათი განუშეველია თვეული და ქალაქის ქვედი და სახლები სულ ერთან თეთრად შეამოსა თურმე, სხვა-განაც ძალიან ხშირად მოსულა თვეული ზარბაზნების სროლის შემდეგ.

დღეს ავსტრიასა და იტალიაში თვეით მემამულების ადარც კი უხდებათ სეტემბრისთან საპრატოლებულ სადგურების გარეთოგა. უბევ შესდგა რამდენიმე სინდიკატი, რომელიც სიამოვნებით კასრულობენ სადგურების გა-მართვას. მამულების პარტნერთ სინდიკატები მხალეოდ მცირეოდენ სასეინდელს ართმევენ. ასე შეუდგნენ ეპრო-მში ბუნების ამა თუ იმ მოვლენასთან ბრძოლას. „იშ.“

შულკლ-გაზეთებიდან.

წავიკითხე მეტად სამწუხარო და გულიაკლავი წერილი ბ. მერელისა გაზეთს „ცნ. ფურცლის“ მე-1159 ნომერში, საღაც მოვითხრობდა სიცოცხლეშივე წამებულის, მოხუცებულის მღვდლის იაკ-შილის ივალმყოფ ქვრივის საბქლის ბოლოს წოლას უპატრიონოთ და საშინელს ტანჯვას ერთის მხრით სისწეულისა და მეორეთ მკაცრის ბუნებისა. ამას-თანავე წავიკითხე სიმატიური რჩევა სამღვდელოებისაზმი შავი დღისთვის ზრუნვისა მ. ბაკურაძესი ამავე გაზ. „ცნ. ფურც.“ მე-1488 ნომერში. ამის-თანა მოვლენა არა ერთი და ორი მომხდარი ჩვენს

კურობეულს ქვეყანაში. არა მარტო ქრისტიანულები ჩავარდნილია ამისთანა უკიდურესს სიღარმებით და ტანჯვაში ქრისტიანული და მამის სიკვდილის შემდეგ, არამედ ბევრი სამღვდელო მოსამსახური პირნიც სი-ბერისა, ავადმყოფობისა და წვრილ-შვილის გამო. იგ სწორედ ეს მწარე მოვლენა ედო სარჩულად იმ მოსაზრებას, რომლითაც გადაწყდა დაარსება საქართველოს საექსარხოსო სასულიერო პირთოერთ დაშმარებელ კასისა. ეს საქე განხორციელდა 1893 წელში. ამ კასის მიზანი იყო: იაფი ფასით ელია სესხი გაჭირვებულს სასულიერო პირთაოვის; დაპერარებოდა უბედურების უროს ერთ დროებითის შემწეობით, ებეჭდნა იაფ-ფასიანი სასულიერო ხა-სიაოს წიგნები და გაევრცელებინა უსწავლელს სამღვდელოებაში; გაეუმჯობესებინა ქართული გა-ლობა და სხვა ამნაირი ჰუმანიური საქმეები ეკეთ-ბინა. ეს მოსაზრება მთავრობამ მოიწონა და კადეც დაამტკიცა. შეიკრიბა საკმაო საწევრო ფულიც, მაგრამ ამ რვა წელიწადში ამ კასის არცერი კე-თილი საქმე არ გაუკეთებია და სამღვდელოების ცხოვრება არაფრით შეცვლილა. ამ კასის დაარ-სება კი მიზანთ სოფლის გაჭირვებულის სამღვდე-ლოების ცხოვრების გაუმჯობესება ჰქონდა. არ ვიცი, ამ მიზანს რათ აუხვია?

* *

დღევანდელ „რუსეთში“ მეითხველი შეპხვდება საყურადღებო ამბავს შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის გამორიცხვისას მოსკოვის სიცხიზლის საზოგადოების საპატიო წევრობილებან. ამ ამბავმა მთელი რუსული უურნალ-გაზეთობა აალაპარაკა. ინ, მაგალითად, რასა სწერს „Новости“:

„ეს ვაჟბატონები (ხელოსნები, მეწვრილმანები და სხვ ნი, რომელთაც მოითხოვეს ტოლსტოის გამორიცხვა) გრ. ლ. ნ. ტოლსტოის დასჯილადა და განდევნილადა სთვლიან. ივიწყდებათ მათ, რომ რუსთა ბევრი სხვა მწერალიც იყო დევნილი, მაგრამ შემდეგში ამ მწერლებს რუსეთის სიამაჟედა სთვლილენ. პუშკინიც დევნილი იყო, მაგრამ ძეგლი აუგეს, ტურგენიევიც დევნილი იყო, მაგრამ დღეს იმის სახსოვრად სახალხო წიგეთ-საცავებსა და საწავლებლებს აარსებენ. დოსტოევსკი კატორგა-შაც კი იყო, მაგრამ დღეს ეს კაცი სამშობლოს უშესანიშნავეს შვილად ითვლება.“

„იქნება სდევნიდნენ წინად მწერლებს იმიტომ,

რომ გაშინ სხვა ლრო იყო, მაგრამ ეხლა რაღაა? ნუ თუ ბოლო არ მოედება ამ სამარცხვანო საქმეს? დღეს ერთ მწერალსა სდევნიან იმიტომ, რომ იგი სხვანაირად ჰყიქრობს, ვიდრე მედუქნები და ხელოსანნი, ხვალ მეორეს დაუწყებენ დევნას, ზეგ მესამეს, მეოთხეს. უნდა მოელოს თუ არა ბოლო ამ კომედიას?

შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

«განა შეიძლება ბ-ნ ვარსუნიაქა და იმის თანამიაზრებზედ გაჯავრება? რასაკირველია არა. ამ საცოდავთ არც კი ესმისთ, რომ ლ. ტოლსტოის შეურაცხულფით ისინი თავიანთ სამშობლოს შეურაცხულფით, იმიტომ რომ ლ. ტოლსტოი უპირველესი სიამაყეა რუსეთისა, იმისი სახელი, დიდება. სამწუხარო ის არის, რომ ტოლსტოის, ამ 80 წლის მოხუცის დამცველად არავინ გამოვიდა».

* *

ბათუში. სწორედ ღვთის რისხვად უნდა გათენებულიყო ქ. ბათუმისათვის 12 ივლისი. შუადღის ზანად, როცა უცელა აქაურ სახელმწიფო დაწესებულებებში გაცხარებული მუშაობა იყო, კერძო კერძო სახლებში ტებილად ცოლ-შვილში დროებას იტარებდა, ზოგი სასადილოდ ემზადებოდა და საზოგადოდ უცელა თავის დღიურს შრომას ჩვეულებრივ ეწეოდა,—ამ დღოს უცბათ უძლიერესმა ხმამ მთელი ჰაერი შეარყია. იმ ზომამდი მძლავრი იყო ეს ჰაერის შერყევა, რომ მთელ ბათუში ერთი სახლიც არ დარჩენილა, რომ ჩაკეტილი ფანჯრებიც კი მთლიან არ ჩამსხრულიყო... თავ ზარ დაცუმული ხალხი ამ მოულოდნელი შემთხვევისაგან ერთმანეთს აწყდებოდა და სახლებიდან თავის საშველად გარედ გამორბოდა; ანგარიში ვერ მიეცა, თუ რახდებოდა იმის გარშემო, ზოგს ეგონა მიწის ძვრა არისო და გარბოდა, ზოგს კიდევ ეგონა—სახლი თავზე მექცევა და გავიდე სამშვიდობოზეო, მაგრამ არა, არც ერთი და არც მეორე—დაფეთიანებულ გარედ გამოცვინულ ხალხს უცბათ თვალ-ჭინ წარმოუდგა იმის წინად მშვენიერად მოწმენდილ ცაზე — კუპრასავით შავი ღრუბელი, რომელმაც მთელი ბათუში შავს სუღარაში შეხვია. ეს ღრუბელი იყო ცეცხლ წარიდებულ თოფის წამლისაგან აფეთქებული ბოლი.

როგორდაც მოშედარა და თოფის წამლის სარდაფს უფეთქნია. მრავლისაგან მრავალი ჯარის კაცი

დაუხოცნია (ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი რამდენია). იქავე მოსეირნე ხალხიც არის მოკლელი ბევრი. თუჯ-რკინეულობის ნატეხებ-ნაგლეჯები შორს გაზარში მოსიარულე ხალხსაც მოხვდა. სხვათა შორის, ერთი ქალი თავისი ბავშვით მოპკლა, ერთ გიმნაზიელს ფეხი მოპგლიჯა, ეტლეჭით მიმავალი ხალხი და ცხვნებიც მოპკლა უშველებელმა რკინის ნაგლეჯმა. მოკლულთა სხეულის სხვა-დასხვა ასოები: ფეხი, ხელი, თავი და სხვა ნაწილები ნაკუჭ-ნაკუჭიდ, ბოლში შემტრული ქუჩების სხვა-და-სხვა ადგილებში იპოვეს.

ჭურჭლეულობის მაღაზიებში ბევრი ჭურჭელი ჩამოცვიდა და დაიმსხრა, ერთი სიტყვით, კალმით აუწერელია რამდენი უბედურება მოხდა. ეტლი იღარ იყო, რომლითაც მკვდარი ან დასახიჩრებული კაცი არ მიჰყავდათ!..

ახალი აშშები და შენიშვნები.

უწმიდესმა სინოდმა აუხსნა საქართველოს ექ-ზარხოსს ყოვლად უსამღვდელოეს ფლაბიანეს, რომ გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპისკოპოსებმა საეპკლესიო და სასკოლო ზოგიერთ კითხვების შესახებ საქმე უნდა იქონიონ სინოდთან საქართველოს ექზარხოსის საშუალებით. სინოდის ხსენებულ ახსნაში მოყვანილია მთელი რიგი კითხვებისა, რომელთა შესახებ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებმა უნდა მოხსენებანი წარუდგინონ ხოლმე საქართველოს ექზარხოსს.

* *

იურიევიდან გაზ. „კვალს“ ატყობინებენ: «ადგილობრივ უნივერსიტეტში ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოდან; ამას გარდა, როგორც სარწმუნო წარმოდან შევიტყეთ, ყველა დათხოვნილი სტუდენტები მიღებულ იქმნენ და ეძლევათ ნება სხვებთან ერთად დაიჭირონ ეგზამინები; არ მიუღიათ, როგორც ისმის, მხოლოდ სამი სტუდენტი».

* *

უწმ. სინოდს დაუდგენია, რომ ამიერიდან არ გაარჩევს „მ თხოვნებს, რომელზედაც ხელი არავის უწერია ან ისეა ხელმოწერილი, რომ გარჩევა არ შეიძლება.

* *

რკინის გზაზე ბევრი უსამართლობა და უაჯაობა ემართება მოსიარულეთ, მაგრამ ერთი უაჯაობა უმეტესია ყველაზე. ქვეითად სასიარულო გზები დაანგრიეს მარელისიდამ ფონამდის და წიფაში მიმავალს „პასაურებს“ მიხაილოვის სადგურამდე ახდევინებენ როგორც ბილეთისას, ისე ბარგისას. ვსოდეთ შეშა მოგაქვთ წიფიდან, თქვენ გადაგახდევინებენ ფულს მიხაილოვიდან. ამაზე მეტი უკანონობა იქნება!..

**

„დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ გენერალმა ბოტამ ნატალის საზღვარზე ერთი საგანგებო მატარებელი დაიჭირაო. მატარებელს ინგლისის ხაზინა თურმე მიჭირნდა: 2 მილიონ ფრანკ ოქროზე მეტი ყოფილა. ეს ფული ბოტას წაულია და თავის რაზმისათვის დაურიგებია. დელაგრას რკინის გზაზე დევეტს თოფის დაუცლელად მეორე მატარებელი დაუჭირია. ამ მატარებლით ბისკვიტები მიჭირნდათ ინგლისის ჯარისათვის. ბისკვიტები დევეტს თავისი რაზმისათვის მიუკია. ამ ამბებზე ინგლისის მთავრობას ხმაც არ ამოულია, თითქმ არც კი მომხდარაო.

**

ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლთა კრება. ბრუარდელი ამტკიცებს, რომ ჭლექის მორჩენა შეიძლება, იგი არ ეთანხმება კოსს, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცს საქონლისაგან ჭლექი არ ედებაო.

**

„ივერიაში“ ვკითხულობთ: „კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს კავკასიის სტიპენდიანტებათ ამ წელს სულ 22 ყმაწვილი დაუნიშნავს რუსეთის უნივერსიტეტებში. ამათგან ქართველი მხოლოდ ორია: ზურაბ მაჩაბელი, რომელსაც ქუთასის გიმნაზია აქვს ოქროს მედალით გათავებული და პეტრე ვარდანაშვილი, რომელმაც ერევნის გიმნაზია გაათავა ოქროს მედალით“. სწორეთ ბევრი ქართველები დაუნიშნავსთ!..

**

როგორც „Morning Poste“-ს ბრიუსელიდან დეპეშით ატყობინებენ, პრეზიდენტის კრისტიანის დროებით მოადგილეს შალკ ბურგერს გამოუცია დეკრეტი, რომლითაც იწვევს საომრად ყველა 14 წლის ბურებს.

**

ამავე გაზეთში ვკითხულობთ: „კავკასიის საშუალო სასწავლებლებში განთავისუფლებული სახელმწიფო ვაკანსიები კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს მოსწავლეთა შორის უცვი გაუნაშილებია. 19 ვაკანსიიდგან ქართველ მოსწავლეს მხოლოდ სამს რგებია ადგილი: ივანე უორდანის (ქუთაისის გიმნაზიიდგან). ვლადიმირ ყანჩელისა (ტფილისის 1-ლ გიმნაზიიდგან) და მიხეილ გომელაურს (იმავე გიმნაზიიდგან).“

**

როგორც „ივერიას“ ატყობინებენ, ტფილისის კომერციულს სასწავლებლებში წელს 300 თავისუფალი ადგილი თურმეა პირველსა და საშუალო განყოფილებებში. სასურველია, ჩვენმა ქართველობამ ამ არა ჩვეულებრივის გარემოებით ისარგებლოს და თავისთი შვილები ამ სასწავლებლებში მიაბარონ. პირველს განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები სრულიად არაფრის მცოდნენი, 7 და 8 წლისანი, ხოლო საშუალო განყოფილებაში 9 და 10 წლისანი, ქართულ-რუსულისა და ანგარიშის შესაფერად მცოდნენი.

**

როგორც შევიტყვეთ, რევიზია მათ მეუფებას გადაღმა სვანეთში უკვე გაუთავებია და ესლა ლეჩეს ხუმის მაზრაში დაბრძანდებათ. ამბობენ, რომ ლეჩეს ხუმის მაზრიდან რაჭის მაზრაში გააგრძელებს რევიზიას.

**

ნიუნი-ნოვგოროდში თავის სენაკში მოკლული ნახეს ხარების მონასტრის წინამდვარი, არქიმანდრიტი არკადი. ყუთი, სადაც ძვირფასი ნივთები ეწყო, გატეხილია. წაულიათ სხვა-და-სხვა ნივთები და მონასტრის ფული.

**

გავარდნილი ყაჩალი ლორთქიფანიდე, რომელიც შაშის თავზარს სცემდა ყველას, უკვე შეუპყრიათ თფილისში.

შეწირულებანი.

I.

მ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, რომ ოქვენის პატივცემულის უურნალის საშუალებით გულითადი მაღლობა გამოუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე ჩემთან ერთად ულმობელ ხვედრით გაღმოხვეწილ ქართველთა მხრივაც ქვემო დასხელებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ხელი მოგვიმართეს კუნძულ სახალინზე ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებაში ფულისა და წიგნების შემოწირვით. სია შემოწირველთა: პიატიგორსკის რაზმის პორუჩის ზაქარია უორულიანს, რომელმაც არ დაიზარა და თავის ნაცნობებში შეგროვილი ფული 13 მან. გამოგვიგზავნა; შემოსწირეს თითო მანეთ:

ნ. ქორქაშვილმა, მიხ. ავალიანმა, ვლ. ჭოლოშვილმა, თავ. ბ. ბაგრატიონ დავითოვმა, ნიკ. ხუნდაძემ, უჯი მრქაშვილემ. იოს. თოფურიამ, გ. ლორთქიფანიძემ, გ. ანდლულაძემ, ილ. სვანაძემ, ალექ. ახვლედონმა, ვ. მაჭუტაძემ 50 კაპ. ზაქარია უორულიანმა 1 მან. 30 კ., უცნობმა ექიმმა—20 კ., კუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფებებმა შემოსწირეს 10 მან. გაზეთის დასაკვეთად; ქ. სოხუმის მცხოვრებმა ს. თურქიამ—5 მან. კუნძულ სახალინზე მცხოვრებთ შემოსწირეს: ვლადიმერ გორგაძემ 5 მან., გრიგოლ ჩიტავემა 7 მან., თავ. ალექსანდრე ფალავანდიშვილმა 5 მან., ვასო ჩიხლაძემ 3 მან., პირველ გილდის ვაჭარმა შ—ირანიანცმა 17 კაპ. (ამ ირანიანცს 160,000 მანეთის ნაღდი ფულის შეძლება აქვს). პიატიგორსკში მცხოვრებმა ვარდო ივან. პოგალოვმა ხუთ მანეთად ღირებული სხვა-და-სხვა წიგნები; ბ. ანტონ ფურცელაძემ სამი წიგნი; უცნობმა ორი ცალი აკაკის თვიური უურნალი „კრებული“-სა; სულ შემოწირულება მივიღეთ 48 მანეთი 17 კაპ., აქედან წიგნების და უურნალ-გაზეთების გამოსაწერად დაგვეხარჯა 29 მ. ეს რამდენიმე ხანია აღნიშნულ სახალინის კუნძულზე გაღმოხვეწილი ქართველები შევუდექით ქართულ წიგნთ საცავ-სამკითხველოსა და პირველ დაწყებით სკოლის აჯებას, მაგრამ ჩვენ, როგორც ხელ-მოკლე — სიღარიბეში მყოფ ქართველებმა მარტო, სასურველად მათი დასრულება ჯერ ვერ შეეძლით, ხოლო გულშემატკივარი კი ძალიან ცოტანი გვყვანან.

ამიტომ მიღმართავთ და ვთხოვთ ყველას შეძლების და გვარად შემწეობა აღმოგვიჩინონ წიგნებისა თუ ფულის შემოწირულებით, რითაც საშუალებას მოგვცემენ ამ შორეულს ქვეყანაში მივაწოდოთ გონების მასალა მსურველ ქართველ მკითხველებს, რომ ფრიზიკური სასჯელი გონება-ზნეობის წვრთნა-ვარჯიშობით შეიმსუბურნ და სულიერად თავისი აღამიანური ელფერი არ დაჰკარგონ. ვინც კეთილ ინებებს და შემოგვწირავს რამეს, ამ აღრესით გამოგვიგზავნონ: ისტოვ სახალინ, ალექსანდროსკი პიტ, გ-ნუ მართვის აღმართული გრაფი ალექსანდრე გ. არდიშვილი.

II.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ ოქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით მაღლობა გამოუცხადოთ ქუთაისშიდ მცხოვრებს პაპორჩის—იოსებ გრიგოლის ძეს ბაქრაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ძმუისის წმილი გიორგის ეკკლესიას ჯვარცმის წინ დასადგმელი შვიდ-ლეროვანი სასანთლე თავის სანთლებით, ღირებული 18 მანეთად.

ძმუისის წმ. გიორგის ეკ. მღ. ნ. გაბელაშვილი.

III.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ოქვენის გაზეთი „მწყემსის“ საშუალებით მაღლობა გამოუცხადოთ ხონში მცხოვრებ ვლებს, ალექსი თომას ძე გიორგერიძეს, რომელიც უფასოთ უთმობდა და უთმობს საზედაშე ღვინოს რწმუნებულს ჩემდამო ხონის მაცხოვრის ეკკლესიას.

მღ. ნ. ლეუავა.

მილება ხელის-მოწმია 1901 ჭლისთვის ორ
ავილეულ გამოცხათა ჩართულს

„პასტირი“^{–ზე}

რუსულ „ПАСТЫРЬ“^{–ზე}

ე უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თებერვალი 1901 ვ მ. | 6 თებერვალი 1901 23.
— „, რუსული „, 3 მ. — „, რუსული „, 2 კ.
— „, ორვე გამოცხამა 5 კ. — „, ორვე გამოცხამა 3 კ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ევროპის გამარტინის საზოგადოების წევნის
მაღაზაში, ბ. მთა ქურუკაშვილთან. ფოთში — დეკა-
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყ რა ან
ჩაერქისთან; სახლდინებში — დეკანოზ დ. ხახუშოვთან;
სახლსენაკში — ბლალოჩინ მაზა არისტარქ კალანდარი-
შვილთან.
სოფლის მასწავლებელთ და ლარიპით გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცხამა სამ მანეთა დ.
რედაქციას აქვთ კანტორები: ქუთაისში დეისაძის
სახლებში და ევირიდაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ბაზე ეცნოვებთ კურნალის დაბარების შეუძლიათ
ამ ადგენით: Въ Квирили, въ редакцію газеты и
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
ლენიმე სრული გამოცხამი „მწყემსი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქ-
რად) აქვთ დანიშნული დიდი სურათი უკვლად
სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსაგისი, როგორიც
არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის
მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ
ხარჯად ორი შატრი. ამ პრემიის გასაგზავნი.

სშინად როცა რაიმე უბედურება გვიშვიმა, მნიშვნელ-
ზებინ ვიწყებთ სინაუზს, რომ თაგის დროზე რაიმე
დონე არ ვიწმარეთ, რომ ამისთანა უბედურ შემთხვევათაგან
თავი უზრუნველ გვიგვი. რომ შემდეგში მანიც თავადა
ავიცდინოთ ნივთიერი ზარალი რაიმე უბედური შემთხვე-
ვის დროს, უკეთას ურჩევთ თავის დაზღვევას დასაზღვევ-
საზოგადოება — „როსიაში“. უკვე შირს, რომელიც
წლიურად შეიტანს 20-დამ 50 მანეთამდე, იმისდა მი-
სედვით, ვინ რა მოხელეა, შეუძლიათ თავი დაზღვევის
10,000 მანეთში სიკედილის შემთხვევისაგან და 10,000
მანეთში, თუ ვინიცობას დაზღვეული შირი დაშავდა.
დაზღვევა შეიძლება 1000 მანეთიდან 200,000
მანეთამდე.

1900 წ. დამზღვევების საზოგადოებამ „როსიაში“
მისცა უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ შირი
უმეტეს 1,200,000 მანეთასა.

უფრო დაწვრილებით შირისათა შეტევას შეიძლება
საზოგადოების სამშაროველიში (პეტერბურგში № 37,
აგენტთან ქ. ქუთაისში ი. ა. შიქელაძესთან ქარ.-სარაის
ქუჩა მის. სათავად-აზ. ბანკის სახლში და აგენტებთან
იმშერიის უკეთა ქადაქებში).

შ ი ნ ა ს ი :

სალითორატურო განცოცილება: რომელ ქალა-
დზე რა ფასიანი მარკები ითხოვება? — „მწყემსი“ კორრესპონ-
დენცია, სკ. მასწ. ვლადიმერ არშიძისა. — ახალ საშუალო
სკოლის მირითადი დებულებანი, რომელიც შეიმუშავა სარე-
ფორმო კომისიამ. — მწარე ფიქრები, სოფლის ხუცესისა. —
რაციონალისტური მწვალებლება (სკოტანტობა) რუსეთში. —
რით შევიძლია ავიცილოთ სეტვა? — კურნალ-გაზეთებიდან.
— ახალი ამბები და შენიშვნები. — შეწირულებანი.

— განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. დამბაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлис, 30 июля 1901 г. ♦ За Цензора Илья Перадзе

Типог. редакции журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ л. А. Дейсадзе на Нѣмешкой ул.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.